წელიწადი 1-ლი   გაზ. ფასი 10 კ.   ტელეფონი № 76   პარასკევი ივლისის 28 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . 10 მან.
თვიურათ . . 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით
ლირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული
განცხადება [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭ-
ვა [illegible] უმეტეს [illegible]
გამომცხადებლისა. ნაშუადღევს
2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ნ. მიქელაძის ს
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 90   ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   № 90

ივერიელი ბიბლიოთეკა

გულ-დათუთქული: მამა გიორგი; დედა ნატალია: ძმები: ალექსანდრე, სპირდონ, დავით, კონსტანტინე, ირაკლი, ილია, პავლე; რძლები: ელენე, ნინო და ძმის შვილები ოლია და გოგია ხმალაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ, რომ 26 ივლისს გარდაიცვალა აბასტუმნის გზაზე

დიმიტრი (მიტია) გიორგის ძე
ხმალაძე

დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე, კვირას 30 ივლის, შუადღის 4 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. ქ. ქუთაისში არქიელის მთაზე, ჩიმაკაძის სახლში. ცალკე ბარათები არ დარიგდება.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი
საზაფხულო შენობა.
ივლისის 27 ნაჩვენები იქნება საინტერესო სურათები
კერენსკის ყოფნა კიევში
სანახაობა. მან აირჩია ღვთაებათ სიყვარული და ყოვლი ხატიება
მხატვრული დრამა 6 ნაწილად რიტა ჟოლიევეს მონაწილეობით
ანონსი. ივლისის 31 ნაჩვენები იქნება ბედის მარიონეტკები ტრაღიკული დრამა 4 ნაწ. ქრონიკა გომონი

ელექტრო „ამპირ“ თეატრი
საზაფხულო შენობა.
ივლისის 27 ნაჩვენები იქნება
ციმბირელი ატამანი
ციმბირელი კლეოპატრა დამ. 5 ნაწ.
მონაწ. რომანოვისა და შეიცტერის.   ნახულია ადგილი გერმანელობის გასადევნათ სანახაობა
ანონსი: ივლისის 31 ნაჩვენები იქნება არა ჩვეულებრივი ქალი. მონაწ. ბარანცევიჩის ქრონიკა გომონი

ს. დიმი.

შაბათს, 29 ივლისს ს. დიმში მელიტონ ჩხეიძის ეზოში ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართება

დიდი სეირნობა.

ცოცხალი ყვავილები. ფოშტა. ლოტარეა. მუსიკა. ჩაი. ვახშამი.

საღამოს გამგე ქ. **ნინო სოლ. ჩხეიძისა.**

ქალაქის საბჭოს არჩევნების შესახებ

ქუთაისის ქალაქის საარჩევნო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ მდგომარე ივლისის 27 რიცხვიდან 30-დი. დილის 9 საათიდან 2-დი და საღამოს 6-დან 9. მოხდება საარჩევნო ბარათების კონვერტებისა და ბიულეტენების დარიგება,

მათ მისაღებათ ქალაქის ამომრჩევლებმა პირადათ უნდა მიმართოს.

1. ცენტრალურ საარჩევნო უბანში—ქალაქის გამგეობის დარბაზში.
2, წყალგბომა საარჩევნო უბანში—ქართული გიმნაზიის შენობაში.
3, სამთო უბანში შემდეგს ადგილებში:
ა, რეალური სასწავლებლის შენობაში.
ბ, ოლქის სასამართლოს შენობაში.
ვ, ზემო საფიჩხიამ — სამინისტრო შკოლის შენობაში.
გ, ქვემო საფიჩხიამ სამრევლო შკოლის შენობაში.
დ, მწვანეყვავილამ ადგილობრივ შკოლის შენობაში.
ე, ებრაელების უბანმა ებრაელთა საზოგადოების შენობაში.

საარჩევნო ბარათების, კონვერტებისა და ბიულეტენების მიღების დროს ამომრჩევლებმა უსათუოდ ხელი უნდა მოაწერონ საგანგებო რვეულებში

ქუთაისის ქალაქის საარჩევნო კომიტეტი.

დღეს:

წერილები:
Argon მომენტი
ინ-ხანი — სადღეისოდ
დის — ქართველ მხედართა ყრილობა
ს. ყიფიანი — ბეწვის ხიდზე ვდგავართ
შ. კარმელი — დროშები (ლექსი)

ცნობები:
მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა. მსოფლიო ომი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ფრონტის წარმომადგენელთა მოხსენებანი აღმასრულებელ კომიტეტთა სხდომაზე. მიწის კერძო საკუთრება. ხმა საეკლესიო რეფორმისათვის. სომხის სამღვდელოთა კრება, როგორი განახლება უნდა მოხდეს ჩვენს ეკლესიაში. უცხოეთი. ახალი ამბავი.

ქუთაისის სამრეწველო და სამეურნეო ბანკი
5 ივლისიდან ქ. ქუთაისში ვორონცოვის ქუჩაზე ფ. გაბუნიას სახლში დაიწყო მოქმედება.
ქუთაისის სამრეწველო და სამეურნეო ბანკი.
ახდევინებს:
დახურდავებულ ვექსილში 10 პროც. სპეციალურ ანგარიშით:
ა, პროცენტიანი ქაღალდების გარანტიით 8 პროც.
ბ, საქონლის გარანტიის 8 პროც.
იხდის
მიმდინარე ანგარიშით 4 ნახ. პროც. დი.
ფულის მიღება ვადით — 5 ნახ. — 7 პროც.

მომენტი.

რევოლუცია არ გაფართოვდა-რუსეთიდან იგი სხვა სახელმწიფოებში არ გადასულა.

რევოლუცია არ გაღრმავებულა — უკიდურესმა სოციალისტურმა პროპაგანდამ ფეხი ვერ მოიკიდა; შეუგნებელმა ბრბომ მხოლოდ სტენკა რაზინის და ემელკა პუგაჩოვის ძველადვე გაკაფულ გზას მიმართა.

აქ სარდაფები გატეხა და ალკოჰოლს დაეწაფა, იქ მემამულე აკუწა; დღეს ქალები გააპატიურა და ხვალ მთელი მაზრის, ქალაქის მმართველად ცარცვა-გლეჯისთვის კატორღაში გაგზავნილი და შემთხვევით უკანვე დაბრუნებული აირჩია.

ასე ხდება რუსეთში.

საბედნიეროდ ქართველი ერის ათას წლოვან ისტორიაში გამოჭედილმა კულტურამ შეჰბოჭა მხეცური ინსტინქტები და რევოლუციას გეზი ვერ შეარხევინა ვერც უდიდესმა გაჭირვებამ, ვერც ცუდმა მაგალითმა და ვერც მისი ეროვნული მოთხოვნილებათა გადაფუჩეჩებამ.

მაგრამ გრძნობაზე გონების უფლებას თავისი საზღვარი აქვს.

როცა მოსალოდნელი შიმშილი ნამდვილ ფაქტად გადაიქცევა, როცა სხვისი მაგალითი მოედება მეზობლებს, როცა უცხო ერის უეცარი გაბედნიერება თვალსაჩინოდ ჰყოფს დაბეჩავება-დაჩაგვრას, თვით ცივი გონება აღშფოთდება და სამხრეთელის მხურვალე გრძნობა იფეთქს გაათკეცებულის ძალით და თავდავიწყებით.

უფრთხილდეთ ამ მომენტს, მოვემზადოთ ამ მომენტისათვის. მოვიკრიფოთ მთელი ჩვენი ძალი და ცოდნა არა ჩვენი შორეული მიზნების განსახორციელებლად, არა კიდევ რევოლუციის გასაფართოვებლად და გასაღრმავებლად, არამედ მოპოებულ უფლებათა შესანარჩუნებლად, გასამაგრებლად თავისუფლებისა, მოქალაქის უფლებათა განსამტკიცებლად და, მაშასადამე, მთელი ერის დასაცავად — დავთმოთ ილუზიები რეალ ცხოვრებისათვის!

ჩვენ თათბირისთვის ესეც დიდია! შთამომავლობა ვერ გვიტყვის საყვედურს, რომ ქვეყანას ჩვენი კვალი ვერ დავამჩნიეთ.

ერთი რამ ცხადია. ჯერ არ არსებობს რუსეთში ოდნავ ძლიერი მიმართულება, რომელიც წინააღმდეგი იყოს ეროვნულკულტურულ აღორძინების. ამას მაინც ჩავსჭიდოთ ხელი. დღესვე განვახორციელოთ ის, რასაც თეორიულად იზიარებს ყველა პარტია საქართველოსი — დაწესებულებათა გაეროვნება. ასეთი ნაბიჯი მეტად დააინტერესებს გლეხობას, რომლისთვის ჯერ სრულიად არაფერი გაკეთებულა.

დასაყოვნებელი აღარ არის სასამართლოს, ადმინისტრაციის და ფოსტის ეროვნულად მოწყობა.

დეე, ყოველი წერილისა და თხოვნის დაწერისათვის ნუ იქნება საჭირო განსაკუთრებული თარჯიმანი.

მოვაწყოთ ეს მაინც!

უკვე მოწყობილს სურვილისამებრ საქმეს დიდხანს ვერ შეუცვლიან კალაპოტს; და შემდეგ რასმე ვილონებთ,

Argon.

სადღეისოდ.

თავზარ დამცემი ცნობები მოდის რუსეთიდან. კონტრევოლუციამ მძლავრად და საშიშრად წამოჰყო თავი.

წინედ კონტრევოლუციონერებს ეძინათ, სოროებში იყვნენ დამალულნი და ჭურჭუმელადან, ცალის თვალით უყურებდნენ მზის ნათელ სხივებს, ხალხის გამოფხიზლებას და მისი მსოფლმხედველობის მარცხნივ გადახრას. ისინი, ძველი რეჟიმის შვილები, ხალხის სისხლის მწოველნი და და სულთამხუთავები, მომენტს, უცდიდნენ, იმ მომენტს, რომელსაც იგინი ქმნიდენ, ამზადებდენ და მოსწრენ კიდეც.

რევოლუციის პირველ დღეებში თუ მხოლოდ ხალხის გასამხნევებლად და რევოლუციურის სულის მასაში შთასანერგავად სწერდნენ და ქადაგებდნენ, დღეს ასეთ წერასა და ქადაგებას სულ სხვანაირი მნიშვნელობა და სხვანაირი მიზანი აქვს. ეხლა ფაქტის წინაშე ვდგევართ, გულსაკლავი ფაქტის წინაშე. კონტრ-რევოლუცია რომ დაიწყო — ფაქტია. შესაძლებელია, რომ რეაქციასთანაც გვაქვს საქმე. ნუ შევალთ იმის გარკვევაში, თუ ვისი ბრალია ასეთი გამარჯვება კონტრ-რევოლუციონერებისა. გნებავსთ რუსის ხალხის შეუგნებლობას, პოლიტიკურ მოუმწიფებლობას დააბრალეთ, გნებავსთ რეაქციონერების მარჯვე და მხნე მოქმედებას და გნებავსთ ფანტაზიორთა აბდაუბდურ ფილოსოფიას, გნებავსთ ბრძოლის ველზე დამარცხებას, გნებავსთ ხალხის გულგატეხილობას და დაღლილობას შიმშილს, ურკინისგზობას, მონურ ფსიხოლოგიას და ათასგვარ სხვა ობიექტიურ თუ სუბიექტიურ პირობებს, — ეს სულ ერთია, ფაქტი ფაქტად გვრჩება ხელში მას ანგარიში უნდა გაუწიოთ და ილუზიებსაც თავი უნდა გავანებოთ. საღი და გონიერი, აზრიანი და მხნე, ენერგიული, შორსმჭვრეტელი მოქმედება პირველ რიგში უნდა ჩავაყენოთ.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში (უკანასკნელი ამბები) პეტროგრადის ვითარება იყო აწერილი. სოციალ-დემოკრატ მენშევიკებსაც აღარ ინდობენ, სჩხრეკენ და ანადგურებენ. ეჭვი აღარაა, რომ სამხედრო დიქტატურა დამყარდა. იუნკრები პროფესიონალურ კავშირებს აოხრებენ, სადაც მუშას წაეწევიან, იარაღს ჰყრიან, თავისნებით ფინეთში მიდიან სამხედრო ნაწილები და ყაზახები.

მომენტის საუკეთესო სურათი პურიშკევიჩის დაუფარავი გამოსვლებია. ის მატარებლებში ქადაგობს და კამათობს. აი რას ამბობს პურიშკევიჩი; „ქუჩაზე თუ შეიარაღებული ბრბო გამოვიდა, ბოლშევიკები მას ველარ აუგებენ წესს. მაშინ დაიწყება ჟლეტა და ძალა უფლება თქვენ კი აღარ დაგრჩებათ (მიმართავს მემარცხენეთ), არამედ მას კადეტები წაიღებენ და მაშინ თქვენვე მოგდრეკენ (Согнут в бараній рог). თქვენ დაგვიწყნიათ ჩვენი მოკავშირე „ობივატელი“. ის დამჯდარა და სდუმს, სანამ მას ყველაფერი აქვს, რაც სჭირია, სანამ მას ყავა და ციგარა მოეპოება, ხოლო როდესაც მას შეეშინდება, მაშინ ის გადაგვეხვევა. ჩვენ და არა თქვენ-“ო. ეს სიმპტომატიურია. საჯაროდ ლაპარაკობს ამას არა მილიუკოვი და გუჩკოვი, არამედ ცნობილი პურიშკევიჩი.

მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე პეტროგრადში საგულისხმო მოხსენებები წაიკითხეს ჯარის და გლეხების წარმომადგენლებმა. ერთი მათგანი ამბობს: „გლეხთა შორის მუშებისადმი უკმაყოფილებამ „იჩინა თავი“-ო. აი რაშია საშინელება. მიზნისათვის უკვე, როგორც სჩანს, მიუღწევიათ. მიწის მუშა გლეხი, ქარხნის მუშის წინააღმდეგ აუმხედრებიათ და ასეთი დაქსაქსვის ნაყოფად ვინ უწყის, რას იგემებს რუსეთი. სახელმწიფო სათათბირო აღარ ხუმრობს. მას, სჩანს, დიდი ძალა მოუკრეფია. გუჩკოვი ჩხენკელს დეპეშით სწერს: თქვენი მუქარების აღარ გვეშინიანო.

ამნაირად გამოირკვა, რომ წინ მიმავალი რევოლუცია შებორძიკდა, შედრკა და თითქოს უკან დახევას იწყებს მარცხნიდან რუსეთი უკვე მარჯვნივ წავიდა.

თვალებს ნუ დავხუჭავთ და გაბედულად, თავმოუტყუებლად შევხედოთ სინამდვილეს. თუ კადეტებმა და ოქტომბრისტებმა საკმაო ძალა მართლაც მოიკრიფეს, მაშინ კვლავ უნდა ველოდებოდეთ მათი გულის ფარულ ზრახვათა აღმოხვეთქვას. ისინი შეიძლება კვლავ მონარქის აღდგენას შეეცადონ და, ვინ იცის, იქნებ ხელშიაც ამოუვიდეთ.

ინ—ხანი

ქართველ მხედართა ყრილობა.

ავგისტოს ოცისთვის ქ. ტფილისში ქართველ მხედართა კავშირის კომიტეტი იწვევს სრულიად რუსეთის ქართველ მხედართა დელეგატების ყრილობას.

ეს დიდ მნიშვნელოვანი ამბავია.

დიდი ხანია ველოდით ქართველ მხედართა ხმას.

დღევანდელი მომენტი მოითხოვს, რომ ერის ყოველ ნაწილში შეიჭრას მაღალი ეროვნული შემეცნება და თავის უფლებათა დაცვის შეგნება.

ქართველი ერის აღორძინებისათვის და ახალ თავისუფალ ეროვნულ ცხოვრების დაწესებისათვის საჭიროა მთელი ქართველი ხალხი, განურჩევლათ სარწმუნოებისა და მიმართულებისა ეროვნულ გრძნობით აღიძრას და საქართველოს თავისუფლების მოპოების გზაზე შესდგეს.

ძველი რეჟიმის დროს ქართველი მხედრობა სამშობლოს მსახურების გარეშე რჩებოდა. ასეთ გარემოებაში მყოფ ქართულ ლაშქარს ვერაფერს მოვთხოვდით. მაგრამ ის დრო დუხჭირი შეიცვალა. დღეს რუსეთის ყოველ ხალხისთვის გამოჩნდა თავისუფალ თვითგამორკვევის და თვით აღდგენის სარბიელი. ბედნიერი წუთებია. ქვეყნად ინერგება სამართლიანობა.

ერი შესაფერ თანამშრომლობას სთხოვს მის შვილებს.

დღეს ამისთვის შესაფერი დრო დადგა. ქართველ მხედართა კავშირის მიერ სრულიად რუსეთის ქართველ მხედართა ყრილობის მოწვევა დიდი ეროვნული საქმეა და მას ყველა ქართველი გულწრფელის თანაგრძნობით შეხვდება.

ყრილობა მეტად საყურადღებო კითხვებს აყენებს განსახილველათ, მაგ. საქართველოს ეროვნულ ტერიტორიული ავტონომია.

ჯარის ნაციონალიზაცია, ქართველ სამხედრო პირთა ორგანიზაცია. ქართველ სამხედრო კავშირის დამოკიდებულება სხვადასხვა ერების სამხედრო ორგანიზაციებთან და ქართველ ჯარისკაცთა მონაწილეობა დამფუძნებელ კრებაში.

ტერიტორიული ავტონომია ქართველი ხალხის ბედნიერების უმთავრეს ქვაკუთხედს შეადგენს.

ჯარის ნაციონალიზაციაც მიუცილებელია.

ცხრა მთას გადაღმა გადაკარგული ქართველი ჯარისკაცები ერთად უნდა სამშობლოში შეგროვდენ, რათა თავის ქვეყნის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ.

ამ ჟამად ბრძოლის ველზეა ქართველ ერის დიდი ჯანსაღი ნაწილი, გლეხობა, მშრომელი ხალხი.

ეს დიდი ძალაა, მაგრამ ძალა დაქსაქსული, შეუკავშირებელი, დიდ მანძილზე დაფანტული, სამშობლოსათვის დაკარგული.

ყოველ ქართველ ჯარისკაცს, განყენებულად რომ ვიმსჯელოთ, უფლება აქვს თავის ქვეყნის საქმეებში მონაწილეობა მიიღოს. მაგრამ ამ ჟამად არსებულ პირობებში ის ამ უფლებას ვერ გამოიყენებს. ეს უფლება მისთვის უმოქმედო და უშინაარსოა.

ამ უკულმართობას გრძნობს ქართველი ჯარისკაცი და სურს შეკავშირებით, საერთო სამოქმედო გეგმის შემუშავებით, დუხჭირ პირობებს, რამდენადაც შესაძლებელია, თავი დააღწიოს.

ყრილობა შეეხება ქართველ ჯარისკაცთა დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის კითხვას.

ესეც ფრიად საჭირო საგანია.

დღევსე უნდა გამოირკვეს, თუ როგორი იქნება იმ ჯარისკაცთა ბედი, რომლებიც სამშობლოს მოშორებულნი არიან და დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს ხმას თავის ერის წარმომადგენელს ვერ მისცემენ.

დიდ უბედურებათ და უსამართლობათ ჩაითვლება, თუ ქართველმა ჯარისკაცმა ხმა დაკარგა.

ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი მხედრობა ახლავე შეუდგება მუშაობას და ჩვენს დედა ქალაქ თბილისში მოწვეულ პირველ თავისუფალ ყრილობაზე გამოაშკარავებს თავის ნიჭს, საქმის მოყვარეობას და სამშობლოს სიყვარულს.

დის

ბეწვის ხიდზე ვდგავართ.

და სწორეთ ახლა მართებს ყოველს ქართველს, ვისაც ქართველობისა არა რცხვენია, ვისაც ქართველის შვილობა უნდა, ვისაც არ დაკარგვია რწმენა საქართველოს აღდგენისა და მისი საუკეთესო მომავლისა—ახლა მართებს, მეტი მეტი წინდახედულობა, გამჭრიახობა სიმტკიცე. ჭოჭმანის და ორ სკამზე ჯდომის დრო ახლა აღარ არის; არც პირადი ნივთიერი ინტერესების გამოკიდება გამოგვადგება, არც სხვის პირით მოწონებული წარჩინებისადმი მიხიდულობა.

წინეთ ყველა ამების დამალვა და მიფუჩეჩება შეიძლებოდა, ახლა ყოველი ნაბიჯის ავ-კარგიანობა მზის სხივზე გამოეფინება და თეთრი თეთრად გამოჩნდება და შავი შავად.

საქართველოს ბევრი ავი და შავი დღე უნახავს, ბევრი კაი მეზობელიც ჰყოლია, ბევრი ავი მოღალატეც; მას ახსოვს ასურ-ბაბილონის ბატონობაც და თანასწორი მეზობლობაც, მისი დანგრევა, დალუპვა და პირისაგან ქვეყნისა აღგვა; მას ახსოვს რომაელების მოყვრობაც და ვერაგობაც; ამათ გაცამტვერებას და გაქრობას ისტორიის ფურცლებზე კითხულობს ქართველი ინტელიგენტი. თავზარდამცემ მეზობელ ოსმალთა და სპარსთა ვეებერთელა სამეფოების დაკნინებისა და დაწვრილავების მომსწრენი ვართ ჩვენ ყველანი.

და საქართველო და ქართველები კი გადურჩნენ მრავალგვარ ისტორიის გრიგალსა და ქარტეხილს, მხოლოდ აქა იქ თუ გაურგულეს და ისიც სარწმუნოების მეოხებით ძმანი და ნათესავნი; ზოგნივ შემოკბიჩეს ნაგლეჯ-ნაგლეჯი სამკვიდრებელი.

მაგრამ ღვთის მადლით, და ერთგულ და სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირულ მამულიშვილთა მეოხებით დღეს ქართველობა თავისს ქვეყნის გულშია ფეხმოდგმული და უკვე მიუწევია მას ფრიად და ფრიად სასწაულებრივ აქამდი:

ახლა სწორეთ საკვირველების ხანაა: მთელს ევროპას და ამერიკას პატარა ერების განთავისუფლება პირზე აკრავს, ბუმბერაზ სახელმწიფოებს (ღმერთო ნუ უწყენ, თუ გულწრფელად არ ამბობენ) თითქო თავი მოსწონთ, როცა მათი სარდლები და მეთაური დიპლომატები პატარა ერთა გამ სასარჩლებელ სიტყვებს საქვეყნოდ წარმოსთქმენ ხოლმე.

ასეთი ხანა ჩვენთვის სასიამოვნო სიზმრის ახდენის ხანაა, ოცნების განხორციელებაა და სწორეთ ახლაა საჭირო, რომ ქართული კოლექტიური ჭკუა გონებით და პოლიტიკური სიბრძნით აღიჭურვონ რჩეულნი შვილნი საქართველოისა რათა ასეთს, ბედის გადამჭრელ დროს, ჩამორჩენ რასმე, ჩვენი ქვეყნისათვის სასიკეთოს.

დიაღ, ახლა გვეჭირვება ჩვენ ისეთი კაცები, ისეთი ქართველები, რომელთაც შეშვენისთ იკისრონ რომელი კეთილი და მართალი წინასწარმეტყველისა, წინამძღვრებისა და ქვეყნის მესია-მაცხოვრისა. და ნეტაი იმ ქართველს, ვისაც ისეთი წინასწარმეტყველობისა წინამძღვრობის და მაცხოვარების როლი ერგება!

მაგრამ, მოგეხსენებათ, ყოველს მესიობას აუცილებლად იუდობაც თანა სდევს. ყოველს განკითხვის ჟამს, ყოფნა-არყოფნის წამს აეტორღიალება იუდა ისკარიოტელი თვისი გამცემლობით და გვადრუცით.

ამ გვადრუცში მან ვერცხლი უნდა აგროვოს და გამცემლობით გვირგვინი დაიდგას.

ჩვენ ქვეყანას ბევრი კარგი და ერთგული შვილი დაუბადებია, მაგრამ ხშირად ჩვენი დედის ძუძუს გამცემლებიც აღუზრდია: ოთარბეგოვის ხანას ნუ გამოვუდგებით—შორს წაგვიყვანს.

ამ ასჩვიდმეტი წლის განმავლობაში აქა-იქ ჩვენს მეუდაბნოე წინასწარმეტყველებს მუდამ თან ახლდენ პატარ-პატარა იუდები, სკვითის მხედართა იარაღად წოდებულნი და ჩვენს გულწრფელ მოღვაწე მამულიშვილებს კალთაში ეწეოდენ, წინ წადგმულ ნაბიჯს უკან ახევინებდენ; ეს უბადრუკნი შვილნი და ცრუმეტყველნი ხანდახან ჯალათებათაც გამოდიოდენ.

ამათ ისტორია თავის ადგილს მოუძებნის ოდესმე. მაგრამ დღეს თუ ვინმე იუდობას ჩაიდენს ნებსით თუ უნებლიეთ, დღეს, როცა ბეწვის ხიდზე ვართ შემდგარი, მათ დასჯას ისტორია შორს არ გადასდებს.

ვამბობ საქართველოს ბედი ბეწვის ხიდზე გადის და, შესაძლებელია აქ პატარა დაბრკოლებამ, პატარა ცენცის კვრამაც კი ჩასწყვიტოს ეს ხიდი და აი, ასეთს წამს ჩადენილს იუდობას არავის არ აპატიებს ერი და ქვეყანა.

ვინ უნდა ვიანგარიშოთ იუდის კერძათ და მოღალატედ? ყველა ისინი, ვინც ხელს შეუშლის ჩვენი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი თვითმართველობის დროზე ხელში ჩაგდებას, ვინც განზრახ და პირადი ინტერესების მიხედვით ასეთი საპასუხისმგებლო წამს ალღოს არ აუღებს და თავის ერის საბედნიეროდ თავს არ გასწირავს.

დარწმუნებული უნდა იყოს ისეთი ქართველი, რომ ვერც ფული, ვერც წარჩინება, ვერც თვით ალექსანდრე მაკედონელის გვირგვინი ვერ იხსნის მას იმ სასჯელის განჩინებისაგან, რომელსაც სამშობლოს არეოპაგი დაუწერს მას განკითხვის ჟამს.

რამდენი ერის მოღალატე ვაჟბატონები ყოფილა გვირგვინოსნებად, მეფეთ, მაგრამ დღეს რომ ისინი სამარიდან ამოვიდენ და მოღალატეობის ნამოქმედარი დაინახონ, თვისი დაბადების დღეს დაგმობენ და დასწყევლიან.

ამიტომ ფრთხილად, ფრთხილად!

სამს. ყიფიანი.

მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა.

პ. დ. ს.

დეპეშა.

პეტროგრადი. ივლისის 24 მინისტრი თავმჯდომარე, საზღვაო და სამხედრო—კერენსკი; სამხედრო სამინისტროს გამგე—სავინკოვი საადმირალოს გამგე—ლებედევი; მინისტრ პრეზიდენტის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი—ნეკრასოვი; ფინანსთა სამინისტროს გამგე—პროფეს. ბერნაცკი; შინაგან საქმეთა მინისტრი ავქსენტიევი. საგარეო—ტერეშჩენკო; ვაჭრობა-მრეწველობის—პროკოპოვიჩი; მიწადმოქმედების—ჩერნოვი; შრომის—სკობელევი; სასურსათო—პეშეხონოვი; ფოსტა-ტელეგრაფის—ნიკიტინი; სწავლა განათლების—აკადემიკ. ოლდენბურგი; იუსტიციისა—ზარუდნი; სახელმწიფო მზრუნველობისა—ეფრემოვი; სახელმწიფო კონტროლიორი—კოკოშკინი; გზათა-მიმოსვლის—იურენევი; უწმ. სინოდის ობერპროკურორი—კარტაშევი.

მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები

აღმოსავლეთის ასპარეზზე.

პარიზი. ივლისის 25. ბელგეთში უამინდობაა დასავ. საარტილერიო ბრძოლაა. ალლემანის მიდამოებში 24 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელთ ვიგდეთ 1 ტყვიის მფრქვეველი. რეიმსის აღმოს. და სამხრეთდმოს. მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა. გერმანელთა თავდასხმა უქმი გამოდგა შემდეგ ადგილებში: ავოკურის ტყეში, აპრემონის ტყეში და სენმიელის აღმოსავლეთით. ბელგეთში მტერს იერიშების წარმოებაში ხელს უშლიდით. სერნის აღმოსავლეთით 2 იერიში მოვიგერიეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე ზარბაზნების სროლაა.

მფრინავთა მოქმედება.

ივლისის 8 ან ივლისის 8 მდე ჩამოგვიგდია 21 ჰაეროპლანი 2 ჰაეროსტატი. მფრინავმა მარსელ ჰიუგი მ გერმანელთა 5 საფრენი ჩამოაგდო. ჩვენმა მფრინავებმა სხვადასხვა ალაგას 41000 კილო ყუმბარები ჩამოჰყარეს, რამაც საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა მტერს.

რუმინელების ნადავლი და ტყვეები.

იასსი. ივლისის 22. რუმინეთიდან მიღებულ ცნობებით, ივლისის 10 15-დე მათ ხელთ უგდიათ მტრის 50 აფიცერი, 3207 ჯარისკაცი, 15 მძიმე და 38 საველე ზარბაზანი, 4 ჰაერში ყუმბარის მტყორცნელი, 40 სასანგრე მორტირი, 4 ნაღმის მსროლელი, 35 ტყვიის მფრქვეველი 3 უმავთულო ტელეგრაფის სადგური, მრავალი ყუმბარა, პატრონა და ხელით სასროლი ყუმბარები.

ლაშქრის კომიტეტი გმობს მოღალატეთ

მოქმედი ლაშქარი. ივლისის 24. მესამე ლაშქრის სალაშქრო კომიტეტი მიღებულ რეზოლიუციით ზიზღს უცხადებს ყველა იმ სამშობლოსა და რევოლიუციის მოღალატეთ, ვინც სამხედრო ბრძანებებს არ ასრულებენ. რეზოლიუცია მოუწოდებს მათ, ვისთვისაც ჯერ კიდევ ძვირფასია თავისუფლება, და სთხოვს, რომ ისინიც ასევე მოეპყრან ყველა მშიშარას და რევოლიუციის მოღალატეთ. თავის მხრივ კომიტეტი მშიშარა მოღალატეთა წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება და სთხოვს აგრეთვე სხვა კომიტეტებს, რომ მათ მთელი ძალღონით დახმარება აღმოუჩინონ ამ საქმეში.

არტილერიის სროლა ბარანოვიჩის ხაზზე

მოქმედი ლაშქარი. ივლისის 24. ბარანოვიჩის მიმართულებით მტერი ასპარეზის მახლობელ ზურგს ხშირად სროლას უტეხს. ალექსანდროვის რკინისგზის ლიანდაგს მძიმე ზარბაზნების ყუმბარებსაც უშენდნენ.

რუმინეთის სენატორების და პარლამენტის დეპუტატების ყრილობა.

იასსი. ივლისის 22. სახელმწიფო ცხოვრების მიმდინარე საკითხების განსახილველად სენატორების საერთო ყრილობა მოხდა.

გამოქცეულ ჯარის კაცთა მღელვარება

სარატოვი. ივლისის 24. ვინაიდან ფრონტიდან გამოქცეულ ჯარისკაცებს თავს უყრიან გასაგზავნად, და მათ შორის მღელვარება ჩვენს თავს, ივლისის 27 დის აიკრძალა ყოველივე მიტინგები და ყრილობა. დღემდის 1000 გამოქცეული ჯარის კაცი გაიგზავნა ფრონტზე.

(გაზეთებიდან.)

ამერიკის საჰაერო ფლოტი ევროპაში.

საფრანგეთის საჰაერო ფლოტის კაპიტანმა დელევრანდმა, რომელიც ამერიკის სამხ. სამინისტროს საფრენების საამშენებლო ნაწილთან მრჩევლად იმყოფება მოწოდება გამოუშვა, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „მომავალ წელს ქვეყნიერება ნახავს გერმანეთისა და ამერიკის შორის ბრძოლას ჰაერში ბატონობისთვის. გერმანეთს ჰაერში ფრენის საშუალება უნდა მოვუსპოთ და ეს იქნება მოკავშირეთა გამარჯვების დასაწყისი ბრძოლის ველზე. თუ ამერიკამ 1000 საფრენი გაგზავნა ევროპაში, გერმანელებისათვის დამღუპველ ბრძოლას დავიწყებთ ჰაერში.

სიკვდილის ბატალიონის განადგურება.

მოხალისეთა რაზმების შემადგენელი კომიტეტი ასწერს პირობებს, რომლებშიაც ერთი ბატალიონი სიკვდილისა დაიღუპა. ბატალიონს ბრძანება მიუღია, მოწინააღმდეგის მავთულის ხლართების 2 წყება გაერღვია. ბატალიონმა რაც დაკისრებული ჰქონდა, შეასრულა და ის იყო ახლად დაკავებულ პოზიციებს ამაგრებდა, რომ რეზერვში მყოფმა პოლკმა სროლა აუტეხა ბატალიონს. ზარალი დიდი მოუვიდა მას. 300 მეზღვაურიდან რომელნიც ბატალიონში შედიოდნენ მხოლოდ 15 კაცია დაჭრილი დანარჩენი დახოცილები არიან.

გაზ. „ოკოპნაია პრავდა“-ს დახურვა.

რიგა. ივლისის 24. ლაშქრის სარდლისა და კერენსკის ბრძანების თანახმად დაიკეტა გაზ. „ოკოპნაია პრავდა“. რედაქტორი და თანამშრომლები პასუხისგებაში არიან მიცემულნი. გუშინ „ოკოპნაია პრავდა“-ს მაგიერ „ოკოპნი ნაბატ“-ი გამოვიდა.

ჯარისკაცების შემოწმება.

პეტროგრადი. ივლისის 24. თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა მომქმედ ლაშქრის ნაწილებიდან თვითოეული ჯარისკაცის სამსახურიდან დათხოვნისათვის მეორედ შემოწმება მხოლოდ ერთხელ უნდა ხდებოდეს. სამარშო როტების ჯარისკაცებს და აგრეთვე შინაგან გუბერნიებში შემოწმებულებს ლაშქარში გამოცხადების დროს სრულებით აღარ უნდა ამოწმებდნენ.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. ივლისის 24. ოფიციალი დღის ცნობა. ბელგეთის ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მტრის იერიში ყველგან მოგერებულ იქმნენ. აქა იქ არტილერია მძლავრად მოქმედობს. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

მაკედონიის ასპარეზზე.

სოლუნი. ივლისის 23. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. აქა იქ პაწია შეტაკებანი ხდებოდა. მტრის არტილერია ჩვენ სანგრებს შეუწყვეტლივ ყუმბარებს უშენს.

ბრძოლა ხოტინთან.

კიშინიოვი. ივლისის 24. გუბერნიის კომისარს აცნობებენ, რომ რუსის ჯარმა მტერი ხოტინიდან გადენა.

გერმანელების შტაბის ცნობა.

კრონპრინც რუპრეხტის ფრონტზედ. ფლანდრეთში ივლისის 16 საარტილერიო ბრძოლა რიჟრაჟიდან დაწყებული შუაღამემდის შეუწყვეტლივ სწარმოებდა. ამ ბრძოლაში არტილერია უძლიერეს ცეცხლს ანთებდა. ალაგ-ალაგ ჩვენსა და მტერს ქვეითა ჯარს გაცხარებული შეტაკება უხდებათ. ლა-ბასსეს არხიდან სკარპის სამხრეთ ნაპირამდის საღამოთი საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. მონშის აღმოსავლეთით წუხელ ინგლისის ბატალიონთა იერიშები მოვიგერიეთ. სენ-კანტენის ჩრდილო-დასავლეთით, ოსტუსთან ინგლისელებ იერიშებს ზარალი არ მოუყენებიათ.

კრონპრინცის ლაშქრის ფრონტზედ.

შემინ-დე-დამის მიმართულებით და მაასის მახლობლად სამხედრო მოქმედება გაცხოველდა. ეილას ჩრდილო-დასავლეთით ფრანგებმა ოთხი იერიში მიიტანეს ერთი დილით და სამიც საღამოთი. ყველა იერიში ხელჩართულ ბრძოლით კელნის ერთმა პოლკმა მოიგერია. საჰაერო მოქმედება მეტად ცხოველდება. ეს განსაკუთრებით ფლანდრიის ფრონტზე ითქმის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ბათომი.

კვირას 23 ივლისს მოხდა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრთა კრება. მოხსენება წაიკითხა ბესარიონ ჭიჭინაძემ ქართულ პარტიათა შეთანხმების კითხვაზე. მთავარ კომიტეტის წევრმა სპირიდონ კედიამ მოხსენება წაიკითხა კავკასიის ერთა შეთანხმების შესახებ. კრებამ შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: რადგან აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კავკასიის ერთა შეთანხმება, მოხდეს, რაც შეიძლება მალე, ეროვნებათა კონფერენცია. რომელმაც უნდა შეარიგოს მეზობელ ერთა ინტერესები და მოახდინოს კავკასიის ერთა შეთანხმება, რათა დამფუძნებელ კრებაზე მომზადებულ გეგმით წარსდგეთ.

ორშაბათს 24 ივლისს მოხდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ახალ-გაზრდა პროპაგანდისტთა სექციის კრება. კრებაზე მოხსენება წაიკითხა ერთმა ამხანაგთაგანმა აგრარულ კითხვაზე. კრებაზე მოიწვიეს მთავარ კომიტეტის წევრი სპ. კედია, რომელმაც ზოგადად ილაპარაკა მიწის კითხვაზე.

ფრონტის წარმომადგენელთა მოხსენებანი აღმასრულებელ კომიტეტთა სხდომაზე.

ივლისის 16-ს პეტროგრადში კ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით მოხდა მუშ. და ჯარ.-კ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის, გლეხთა დეპუტ. საბჭოს აღმასრ. კომიტეტის და პროვინციის აღმასრულებელ კომიტეტების წევრთა საერთო კრება, სადაც ფრონტის დელეგატებმა არმიის მდგომარეობის შესახებ მოხსენებანი წარმოადგინეს. საშინელია ის სურათი, რომელიც თვალწინ გადაგვიშალეს.

არმიის წარმომადგენელმა ვენგეროვმა სთქვა: შეკავშირებულ დემოკრატიის უზენაეს ორგანოებს ჭეშმარიტება არ უნდა დავუფაროთ. შეტევის წინ ჯარის სულისკვეთებას ახასიათებდა საერთო დაქანცულობა და სიკვდილის შიში. დაქანცულობაა მთავარი მიზეზი ფრონტის უაღრესად საშიშარ მდგომარეობისა. პრესას, რომელიც შეტევის წინააღმდეგ ქადაგებდა, ამ შემთხვევაში მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

იმ ლოზუნგებმა, რომლებსაც ყოფილ პოლიცელებისა და გერმანეთის აგენტების ენერგიულ თანადახმარებით ჯარისკაცთა მასში ავრცელებენ, ჯარის გახრწნას დიდათ ხელი შეუწყო. გავლენა ისანაც იქონია, რომ დანაკლისის შესავსებად მეორე ხარისხოვანი ჯარი იგზავნებოდა. გარდა ამისა ჯარის ნაწილების დაშლა ძლიერ იშვიათად უნდა ხდებოდეს, რადგან დაშლილ ნაწილების ზურგს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან გაყვანა ფრონტზე დარჩენილებში შურს იწვევს'.

უკრაინის ოფიცრებმა თუმცა დიდი თავდადება და გმირობა გამოიჩინეს, მაგრამ საკმაო ორგანიზატორული ნიჭის უქონლობის გამო ჯარის ნაწილები წინ ვერ წაიყვანეს. რაც შეეხება უმაღლეს ოფიცრობას, იქ უკვე თავი უჩენია კონტრ-რევოლუციურ მისწრაფებას.

მეორე წარმომადგენელმა არმიისამ. კოზლოვმა, ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა როლი ითამაშა ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა არმიაში. პირველი ცნობა რევოლუციის შესახებ უკულტურო მასაში შემოიჭრა—სთქვა მომხსენებელმა. არმიამ რევოლუცია გაიგო როგორც განთავისუფლება ყოველგვარ მოვალეობისაგან. სიტყვა თავისუფლება ანარქისტულად გაიგეს. თანასწორობას, ჯარისკაცთა აზრით, ის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რომ ყველა, ოფიცერი თუ ჯარისკაცი, ერთ პირობებში უნდა იმყოფებოდენ და მზარეულიდან დაწყებული მინისტრამდე ყველა ერთსა და იმავე ჯამაგირს უნდა იღებდეს. ლოზუნგი დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდების შესახებ მეტად გულუბრყვილოდ გაიგეს:

— თუ ზავის ჩამოგდება გვინდა, რადა დროს ომიაო ამბობდენ ჯარისკაცები.

ბრძანება შეტევის შესახებ ქვეითა ჯარისათვის სასიკვდილო განაჩენი იყო. შეტევის შესახებ ბჭობის დროს არმიამ სამი მომენტი განიცადა. პირველი მომენტი ეხებოდა კითხვას, შეუდგეს საზოგადოდ ჯარი შეტევის წარმოებას თუ არა. რადგან იმ დროს ფრონტზე კერენსკი და გენერალი ბრუსილოვი მივიდნენ, ეს კითხვა ჯარში დადებითად გადაწყდა. მეორე მომენტი მაშინ დადგა, როცა ყოველ ნაწილს ცალკე უნდა გადაეწყვიტა შეტევაში მონაწილეობის მიღებაც არ მიღების კითხვა. მესამე მომენტი იყო ის მომენტი, როცა ჯარის ნაწილები 'საარტილერიო მოქმედების დასრულებისას იერიშის მისატანად უნდა გასულიყვენ. სიკვდილის ბატალიონები წინ გაიჭრენ და მტერს 100 ნაბიჯის მანძილზე მიუახლოვდენ და საკმაო მოქმედების უნარი რომ ჰქონოდათ, მტრის ხაზს უკიდურესის სიმძლავრით გაარღვევდენ. მაგრამ სწორედ აქ გამოირკვა მთელი სივაგლახე ჩვენი მდგომარეობისა. თავგადადებული მეომრები წინ წავიდნენ, უკან მდგომნი კი ვერც თვითონ ჰბედავდენ დახმარებას და არც ვისმე უშვებდენ მოწინავე ნაწილების დასახმარებლად. დაშავებით კი უკან დარჩენილები დაშავდენ არა ნაკლებ, ვიდრე წინ წასულები, რადგან უმოძრაოდ ერთ ადგილს გაჩერებულო მტრის ტყვიისმფრქვეველები ნიშანში ადვილად იღებენ.

ფრონტის დანარჩენმა წარმომადგენლებმა უმთავრესად ჯარის დაღლილობაზე ილაპარაკეს. მათის მოწმობით, ჯარი ამ ჟამად მოწყენილ, დაღვრემილ მასსას წარმოადგენს. რომელსაც ყველაფრის, თვით რევოლუციის რწმენაც კი ეკარგება. ამ მასას ეშინია მეფისა, ეშინია ძველი რეჟიმისა; ის დაიქანცა და უიმედოდ შეჰყურებს იმ ორგანიზაციებსაც კი, რომელნიც ამდენხანს მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდენ. ჯარს ღრმად აღონებს ის გარემოება, რომ მის ზურგს უკან მდგომარე ხალხმა, ქვეყანამ ფრონტი დაივიწყა. გაჩნდა საშინელი ცინგა და სხვა სნეულებანი. სამარშო როტებთან ერთად ჩამოსულმა ჟანდარმებმა და პოლიციელებმა ჯარში დეზორგანიზაცია შეიტანეს; არა მცირედი როლი დეზორგანიზაციის საქმეში გაზ. „ოკოპნაია პრავდამაც“ ითამაშა.

ახალი ამბავი

◆ ჩხრეკა და დაპატიმრება. გუშინ დიდი ჩხრეკა იყო. ჯარისკაცები და ოფიცრები დაეძებდენ დეზერტირებს, ქუჩებში აჩერებდენ ყველას და, ვისაც სამხედრო ბეგრის მოწმობა არ აღმოაჩნდებოდა, იჭერდენ. დააპატიმრეს დიდძალი ხალხი.

◆ სვანეთის საქმეები. ქუთ. გუბერნ. აღმ. კომიტეტმა ივლისის 26 ს სხდომაზე დაადგინა გაიგზავნოს სვანეთში პოლიტიკურ პარტიებისა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლები. ეროვნ. დემ. პარტიისაგან სვანეთში დანიშნულია ბ. ალექსანდრე თორაძე.

◆ უწესოება აგრარულ ნიადაგზე. პოლკოვნიკ სვიმონ მიქელაძის ქვრივს სოფ. ჰყუტურში წაართვეს 21 ქცევა სახნავ სათესი მიწა.

◆ კრება. დღეს რეალურ სასწავლებელში დანიშნულია ყველა სარაიონო სასურსათო კომიტეტების თათბირი.

◆ ცეცხლი და უწესოება სვანეთში. საგუბერნ. აღმ. კომიტეტს დეპეშით ატყობინებენ, რომ სვანეთში დიდი ცეცხლია გაჩენილი. დადგურდება ტყეები და სახლები. აგრეთვე სვანებს გაურეკიათ მეზობელ მცხოვრებს საქონელი.

სვანეთიდან ითხოვენ საჩქაროდ დახმარებას.

◆ პეშეხონოვის დეპეშა. სურსათის მინისტრის რწმუნებული ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს ეკითხება, როგორ დაიხარჯა ის ასი ათასი მანეთი, რომელიც გადადებულნი იყო ქუთაისის გუბერნიის სასურსათო საქმეთათვისო.

◆ პასუხის გებაში მიცემა. სოფ მანდიკარის (ოკრიბა) სამრევლო საბჭომ პასუხის გებაში მისცა ადგილობრივი მღვდელი ის. ბრეგაძე. მას ჰბრალდება საეკლესიო ფულების გაფლანგვა.

◆ შუამდგომლობაზე უარის თქმა. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს აგენტი ხოხოლენკო სთხოვდა, რომ მისთვის ნება დაერთოთ დაეწყო მდ. ნატანების ბჟუჟის და ჰის წყალის ექსპლუატაცია. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა თხოვნა არ შეიწყნარა.

◆ განკარგულება. სასურსათო სამინისტროს განკარგულებით ქუთაისის გუბერნიაში ახლავე უნდა დაიწყოს ჭირნახულის მოგროვება და მისი რაოდენობის გამოკვლევა. სამინისტრო აგრეთვე იტყობინება, რომ ის პირები რომლებიც ჭირნახულის მოგროვების დროს უწესოებას მოახდენენ, კანონის ძალით სასტიკად დაისჯებიან.

ეროვნული კითხვა

სრულიად უკრაინის მუშათა ყრილობის რეზოლუცია უკრაინის ავტონომიისთვის.

ჩვენი ლოზუნგია უკრაინის პროლეტარიატის ძველი ლოზუნგი-უკრაინის ავტონომია, რომელიც საბოლოოდ უნდა დაამყაროს უკრაინის დამფუძნებელმა კრებამ. ომისგან შეცვლილი ეკონომიური ურთიერთობა, რუსეთისა და უკრაინის მოითხოვს რუსეთის და უკრაინის ფედერატიულ კავშირს, —ამიტომ 1) ყრილობა მოუწოდებს უკრაინის პროლეტარიატს მიიღოს აქტიური მონაწილეობა უკრაინის ავტონომიის შექმნაში, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სრული დემოკრატიზაცია წესწყობილებისა პროლეტარიატის და ფართო მასის ინტერესების დასაცავად, 2) ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ ავტონომიურ წყობილებას საფუძვლად დაედვას მთელი ხალხის ახლობელი მონაწილეობა მართველობის ყველა საქმეში, რისთვისაც ყოველი ორგანო უნდა იყოს არჩეული და კოლეგიური, რამდენადაც შეიძლება''.

გუჩკოვის პასუხი ჩხენკელს.

ინჟინერ ზავალიშინის საქმის შესახებ ივლისის 11 ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მინისტრ თავმჯდომარეს დეპეშა გაუგზავნა გუჩკოვის დეპეშის ასლითურთ. ეს კომიტეტი გუჩკოვს კავკასიის საქმეებში ჩარევის გამო პროტესტს უცხადებს. ამის გამო გუჩკოვმა ა. ი. ჩხენკელს შემდეგი პასუხი გამოუგზავნა: მომქმედი დაშქარი. ივლისის 20 მ. ხ. ეს არის ეხლა მივიღე, ასლი იმ დეპეშისა, რომელიც ინჟინერ ზავალიშინის განთავისუფლების შესახებ ჩემი მოთხოვნილების პასუხად უნდა ჩაითვალოს. თქვენი დეპეშის მკვახე კილო და ქადილი მე არ მაშინებს. ყველასათვის ცხადი იყო რომ სამხედრო სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე და პატივცემული საზოგადო მოღვაწე ზავალიშინი სატუსაღოში დაამწყვდიეს არა როგორც ამის ღირსი. ამ შეურაცხყოფელ ზომას ან სასამართლოს განკარგულებით მიმართვენ ხოლმე, ან კიდევ მაშინ, თუ კაცი სასამართლოს გაურბის, როგორც მოგეხსენებათ სასამართლოს ეს საქმე არ განუხილავს, იმის თქმა კიდევ, რომ ზავალიშინი დაიმალებოდა, რა [illegible] უნდა სასაცილო იქნება. ასეთ პირობებში შეპყრობის აქტი თავნებობის აქტად უნდა ჩაითვალოს. თქვენ ხომ არ უარჰყოფთ რომ თვითნებობის ნიშნები ახასიათებს მთავრობასაც. მოიგონეთ, თუ გნებავთ ძველი მთავრობა, რომელნიც ძველთან ბრძოლაში წარმოიშვა, თავის მართვა გამგეობით ნაკლებ უნდა ემსგავსებოდეს ძველს. დასასრულ ორ ბრალდებაზე გიპასუხებთ. მე რომ გენერალ ბოლხოვიტინოვს ვესარჩლებოდი, ამას მე სრულებითაც არ ვნანობ. ეს პატიოსანი კაცი არასოდეს. მას დამოუკიდებელ აზროვნებასა არ ეშინოდა: მეორე თქვენი ბრალდება, იმას შეეხება, რომ ვითომ მე ჩემის პროტესტით ღვარძლს ვთესდე და საკონტრ-რევოლუციო საქმეს ვუწყობდე ხელს. ნუ თუ თქვენ ვერ გრძნობთ რომ ეს უკანასკნელი ბრალდება მთლიად დროებით მთავრობის აზროვნებიდან არის ნასესხები. მოიგონეთ თუ როგორ ჰსცვლიდნენ მაშინ ყოველივე თავისუფალ სიტყვას და თუ ეს მაშინ რევოლუციად ითვლებოდა, და ახლა კი — კონტრ-რევოლუციად,— სჩანს რომ ძველსა და ახალ მთავრობის მოქმედებაში არსებითად დიდი განსხვავება არ ყოფილა. და როგორც ძველი მთავრობა ნელ-ნელა რევოლუციას ამზადებდა, ასევე ახალი ამზადებს კონტრ-რევოლუციას — ე. ი. ყველა იმის დაღუპვას, რისგულის-თვისაც მრავალი (და მათ შორის მეც) აღფრთოვანებით შეეგება სახელმწიფოს გარდაქმნას.

თქვენს სამსახურად მზად მყოფი.

გუჩკოვი.

დროშები.

სონეტი ,,ცარა და პიერო''-დან.

იძვრის მხედრობა წითელ ალამზე,
ლამაზობს გეზად მთის გზა ირმული,
ატლასს ახხვევს ცის ცხრა თვალა მზე,
ოქროს ვარაყად შემოსირმული.

— —

ვიშ ეს დროშები!.. წინაპრებისგან
მეწამულ სისხლით ნაშაირები—
ისევ დროშობენ! წინა მტრებისგან
თუმცა სცხრილავდენ ჯაზაირები!

— —

დღეს რა მოელით? წითელ მერცხლებათ
ვერ იწინწკლებენ მზის ნაკვერცხლებათ—
მტერთა წინაშე დაიხრებიან?..

— —

თუ ამორძალნი ბრძოლის სტავრებზე
გაიმარჯვებენ გიჟ კენტავრებზე
და მათი ძვალნიც დაიხრებიან?!.

— —

ეს სული ერთია! ამას განაგებს
ზესთამყოფელი და უხილავი:
სიკვდილს სიცოცხლე უამხანაგებს,
ძლევას—სიმარცხე გაუკილავი!

— —

ტანგერგილ მეფეს პორფირიანსა
მუზასა ხმალზე შვენის აშურმა,
ჟინებს მახვილზე ორ პირიანსა
დაავოს გული მტერმა ნაშურმა!

— —

მოფრინავს რაშით მხედართ-მთავარი,
სპარაზმობელი მეფის ჯავარი,
გაუტეხია მისი იქ ნება!

— —

მისდევს ლაშქარი წითელ დროშებით,
ძლევის კილოზე შეზარხოშებით—
გაიმარჯვებენ! სხვა რა იქნება?!.

შალვა კარმელი.

პ რ ე ს ა

საქალაქო არჩევნები.

საქალაქო არჩევნებში ბანაკად მყოფი ჯარის მონაწილეობასა და აქედან გამომდინარე უხერხულობას გაზ. „საქართველო“ განსაკუთრებულ წერილს უძღვნის.

გაზეთი აღნიშნავს რა ახალ საარჩევნო დებულების ფართე დემოკრატიულ წრეების სრულიად დამაკმაყოფილებელ ღირსებებს, სწერს:

> ამ ყოვლად სასურველ და უნაკლო დებულებას პრაქტიკაში გატარების დროს აღმოჩნდა უკუღმა მხარეც, სარჩული, ისე რომ, თუ ყველა ქალაქებში არჩევნები მოხდა ამისდამიხედვით, შესაძლებელია არა სასურველ შედეგებს წავაწყდეთ.
>
> თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ მხარს უჭერთ ოთხ-წევრიან ფორმულას საზოგადოთ არჩევნებში, ესე იგი, რომ არჩევნები ხდებოდეს პირდაპირი, თანასწორი, ფარული და საყოველთაო ხმის მიცემით; ამ ფორმულის უარის მყოფელი ვერ გამოვა დემოკრატიულ დროშის ქვეშ, ვინაიდგან დღეს ცხოვრების განვითარება, კულტურის ზრდა და ვითარება ხსენებულ ფორმულას თავისთავად იგულისხმებს და მას აყენებს სახელმწიფო წყობილების აუცილებელ ელემენტად.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საარჩევნო დებულება სავსებით აკმაყოფილებს ეროვნულ-დემოკრატიულ საარჩევნო პრინციპებს, მაინც საჭიროდ მიაჩნია გაზეთს კორექტივის შეტანა დებულებაში, რათა თავიდან აშორებულ იქნეს ის არა სასურველი შედეგები, რომელიც, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, შეიძლება მოჰყვეს დებულებას ზოგი პუნქტის განხორციელების დროს:

> აქ კორექტივის შეტანა აუცილებელია და მისი გათვალისწინება ნათელ ჰყოფს იმ აზრს. რომ ყველასათვის სასარგებლო და ნამდვილი დემოკრატიული კანონს უკიდურესობამდე მიყვანილი აბსურდათ გადაიქცევა.
>
> მომქმედი საარჩევნო კანონი, როგორც ვიცით, ჯარსაც არგუნებს საარჩევნო უფლებას, როგორც აქტიურს, აგრეთვე პასიურსაც. დებულებულების ამ მხარეს მოწინააღმდეგენი მოპოვება და არა მარტო რეაქციონურ წრეებში: კანონმდებელს უსაყვედურებენ იმას, რომ მან ჯარის-კაცთა უფლება გამოქვეყნებულ კანონში შეიტანა, ეჭვი არ არის „დამოუკიდებელ მიზეზთა“ ზეგავლენით, რადგანაც ამ მომენტის შეტანა სრულიადაც არ აღრმავებს კანონის დემოკრატიულ მიდრეკილებას. საარჩევნო კანონს აქვს ადგილობრივი ხასიათი, იგი ეხება ამა თუ იმ პროვინციის მკვიდრთა ინტერესებს, იგი არგუნებს მოქალაქეთ საშუალებას სახელმწიფო ცხოვრების ის ნაწილი, რომელიც მათ ეხება, როგორც გარეგნულად, და ფიზიკურად, აგრეთვე წმინდა ფსიხოლოგიური სიახლოვით, მოაწყოს ისე, როგორც ამას მოითხოვს ადგილობრივი პირობები, ზნე-ჩვეულება და ხალხის შემეცნება. რას ვხედავთ დღეს ჩვენ? ავიღოთ თბილისის მაგალითი: შემთხვევით ათასობით თავმოყრილი ელემენტს, შეიარაღებულს-პოზიციაზე გასაგზავნად დამზადებულს, ან და შესასვენებლად დაბანაკებულ ჯარს, რომელის უმეტეს ნაწილს არაფერი აქვს საერთო არც ქალაქთან და არც მის მცხოვრებლებთან, მიანიჭოს უფლება თვისი ხმებით სრულიად სხვა ელფერი მისცეს მომავალ ქალაქის თვითმართველობას! თუ ჩვენ ვერ ვისარგებლებთ ქალაქიდან ათასობით გაყვანილ აბორიგენების ხმებით, თუ ისინი ამ შემთხვევაში საარჩევნო სიებისათვის სრულიად დაკარგულნი [illegible] [illegible] სხვათა ხმებო? [illegible] [illegible] [illegible] მელსაც დღეს ჩვენ განვიცდით საკუთარი ძმების და შვილების აქ არ ყოფნით? ბათუმის მაგალითმა ნათლად დაგვანახვა, რა შედეგი მოსდევს გარემოებასთან შეუთანხმებულ აზროვნების სწორწარზიდულად ცხოვრებაში გატარებას; ამის სიყალბის უკუსაგდებლად უწინარეს ყოვლისა უნდა მიქცეულიყო საზოგადოების ყურადღება...

—

რევოლუცია და კონტრევოლუცია

გაზ. „რუსკაია ვოლია“ არკვევს, დაიწყო თუ არა რუსეთში კონტრრევოლუციაო. ამ კითხვის გადასაწყვეტათ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რუსეთს ამ ჟამად სჭირია ეროვნული, პარტიათა კარნახის გარეშე მყოფი მთავრობა. გაზეთის აზრით სწორედ ამ ერთი ხების ყოფისა და მისწრაფების მქონე მთავრობის შექმნის საჭიროება მთელ რუსეთს არად ჰყოფს გაზეთი სწერს. ეს ორი ბანაკი, მდაბიოდ რომ ვილაპარაკოთ, ასეთია: რევოლუცია და კონტრევოლუცია. პირველის შუაგულში დგას მ. ჯ. დამ. დეპ. საბჭოები. მეორის შუაგულში კი, (ცოტა არ იყოს ეს გასაკვირველია) ჰდგის წინად სახელმწიფო სათათბირო ჩადგა.

რუსეთის საზოგადოებრივ წრეების „რევოლუციად“ და კონტრევოლუციად დაყოფა გაზეთს განყენებულათ მიაჩნია.

„არსებითად კონტრ რევოლუცია, როგორც ისწრაფვის რესტავრაციისაკენ და თუნდაც მიხეილის და არა ნიკოლოზის მოჩვენებაში არ არის“.

ასეთ გაუგებარ მდგომარეობას გაზეთი შემდეგნაირად განმარტავს:

> რევოლუცია, როგორც ასეთი, ჩვენში არის და უკვე 5 თვეა თითქმის მოქმედებს. უკანასკნელ ხანს მართავდა იგი ჩვენს ცხოვრებას. მან წინ წამოსწია პიროვნებანი, წარმოშვა დაწესებულებანი, ასრულებდა აქტებს და მოქმედებისა მმართველობის მეთოდიც შეითვისა. მაგრამ რადგანაც ამ ბოლო დროს ერთობ მძიმე პირობებში ჩავარდით, გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც ასე სჯიან: „post hoc ergo propter hoc“ (ე. ი. ამა თუ იმ მოვლენის მიზეზი ის არის, რაც მის წინ მოხდაო“) ყველაფერს „რევოლუციას“ აბრალებენ ყველაფრის ბრალი რევოლუციის ედება, მის ხალხს, მის დაწესებულებებს, მის მოქმედებას. მათის აზრით, ეს ხალხი. ეს დაწესებულებანი და მათი მოქმედება, მოქმედება ყველაფერი სხვანაირად, უკეთესად მოეწყობოდაო. მაშასადამე, საფრთხის დასათრგუნად, უნდა გამოიცვალოს პიროვნებანი, მოწოდებულ იქნეს სხვა დაწესებულებები და ახალ საშუალებებს მივმართოთ.
>
> ასეთი საზოგადოებრივი მიმდინარეობა არსებობს და საკმაოდ დიდიც; ამათ რასაკვირველია, როგორც მიღებულია, შეიძლება ვუწოდოთ ,,კონტრ-რევოლუცია:'. ეს მიმდინარეობა არამც თუ ჩერნოვს, წერეთელსაც კი ეწინააღმდეგება ეს მიმართულება მხარს უჭერს სახელმწ სათათბიროს და მ. ჯ. და გ. დეპ. საბჭოთა წინააღმდეგ არის ამხედრებული ის მარტო № 1 ბრძანების წინააღმდეგ კი არ მიდის, არამედ საარმიო კომიტეტებსაც ითვალისწუნებს. ასეთი ,,კონტრრევოლუცია'', ეჭვს გარეშეა არსებობს რუსეთში და მას ძალა უნებურად ანგარიშიც უნდა გაეწიოს.''

მიწის კერძო საკუთრება.

აგრარულ რეფორმების ლიგის ყრილობაზე ვინმე ბ. დ. ბუცკუსმა მოხსენება წაიკითხა.

მის მოხსენებიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც სოციალურ გარდაქმნას ხელმძღვანელობენ, რუსეთში ისეთ წყობილების დამყარება ჰსურთ, როგორიც ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ არის ცნობილი, რადგან აქამდის მიწის ნაციონალიზაციის შესახებ კულტურულ ევროპის ქვეყნებში არსად არავითარი ცდა არა ყოფილა. თვით იდეია მიწის სოციალიზაციისა ხომ მთლად უცნობია დასავლეთ

ევროპისათვის. აგრარული საკითხი ეკონომიურად ჩამორჩენილ სახელმწიფოებში მოითხოვს დიდს ყურადღებას. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ჩვენ აგრარულ საკითხს კი არ უნდა მივაქციოთ უმთავრესი ჩვენი ყურადღება, არამედ ჩვენს ეკონომიურ სისტემას გაუმჯობესებას. მიწის საკითხის სპეციალურად მცოდნეთ, განა სწორედ ამიტომ უძნელდებათ ამ საკითხის გადასაჭრელად ყველასათვის მისაღები ერთი გზის პოვნა? სხვა სახელმწიფონი თავიანთ სააგრარო პოლიტიკას გლეხთა კერძო მესაკუთრეობაზე ამყარებენ. ხშირად მათგან შემოღებული კორექტივები ცხოვრებაში მაინც ფეხს ვერ იკიდებენ. ზოგჯერ სახელმწიფოს დახმარებით, ახლად წარმოშობილ მეურნეობისათვის განსაკუთრებულ ღონისძიებას ხმარობენ, მაგალითად უკრძალავენ მიწის დაყოფას დამუშავების დროს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ღონისძიება ცხოვრებაში მნიშვნელობას ჰკარგავსო.

ხმა საეკლესიო რეფორმისათვის.

გაზეთ ,,საქართველო''-ში მოთავსებულია ქვემორე მოყვანილი წერილი. პირველის შეხედვით, ეს წერილი ცოტა არ იყოს გასაოცარია თავისი გაბედულობით მაგრამ შეიძლება სწორედ ამიტომაც, საინტერესოა.

ჩვენი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიით უნდა ვისარგებლოთ ისე, როგორც შეეფერება ეხლანდელ დროს. ჩემის შეხედულობით უნდა გადაკეთდეს შინაგანი წესი ეკლესიისა ასე:

მეტი ხატები უნდა აიღოს რადგანაც ხალხი დაჩვეულია მთხვევასა, რომ აღარ ემთხვიონ. ამას ვამბობ იმის გამო, რომ ერთს და იმავე ხატს ემთხვევიან კარგათ მყოფნიც და ავათმყოფნიც, და ამით ჩვენ ვავრცელებთ ათასნაირ ავათმყოფობას.

ეკლესიებში დაიდგას სკამები, ისე როგორც არის ფრანგების და ლუტერანთ ეკლესიებში.

რადგანაც ჩვენი წირვა-ლოცვა მეტად გრძელია, შემოკლდეს, რომ მრევლმა უფრო გულმოდგინეთ იაროს ეკლესიაში, მე მგონია მრევლი მეტად უფროხის ეკლესიას არა იმიტომ, რომ არა სწამს ღმერთი, არა იმიტომ, რომ მეტათ გრძელი წირვა-ლოცვა ხალხსა ჰღლის და ამის გამო აღარ დადის.

მღვდლებმა იარონ ერის ტანისამოსში, ამით არაფერი გაფუჭდება. სამღვდელოების პირთ თუ მოინებებენ უნდა ჰყავდეთ ცოლები, და თუ ვინიცობაა დაქვრივდა ვინმე. მიეცეს ნება მეორის შერთვისა.

ამით გავამრავლებთ ხალხსაც და ახალგაზდა დაქვრივებულს არ ჩავაგდებთ უბედურებაში, როგორც არიან ეხლა.

ბერების რიცხვი მონასტერში შემცირდეს, რადგანაც მიდიან იქ უსაქმოები.

ჩვენი პირველი ცდა უნდა იყოს ქართველების გამრავლება.

ესეთი ცვლილება უნდა დაკანონდეს ეხლავე, თორემ მერე გვიან იქნება.

ეს დაკანონება უნდა მოხდეს სამღვდელოებისაგან და მრავალ რიცხოვან საერო კრებისაგან.

სასწავლებლებში უნდა ასწავლონ სამღვთო სჯული ძალიან შეღავათიან პირობებით, თორემ ბავშვები არ ისწავლიან ისე, როგორც იყო აქამდე.

აი, ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დასწეროთ თქვენ გაზეთში ეს სრულათ თუ არა, მაინც ცოტაოდენ, რომ ხალხი გაეცნოს ადრევე და შეეჩვიოს. ამას მარტო მე კი არა გთხოვთ, ჩემთან ბევრი არიან.

სომეხ სამღვდელოთა კრება

სომეხ სამღვდელოების ეჩმიაძინის ყრილობაზე, რომელსაც დაესწრო 30 ეპისკოპოსი და არქიმანდრიტი და 40-დე მღვდელი, გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუციები:

1) ეკლესიები და მონასტრების შემოსავალი კვლავ ეჩმიაძინის სპეციალურ ცენტრალ კასაში იგზავნებოდეს.

2) თეთრი სამღვდელოების წევრები შეიძლება იქმნან არჩეულნი მრევლის მიერ ყოველივე საეკლესიო თანამდებობაზე.

3) შავი სამღვდელოების წევრები უნდა ცხოვრობდენ მონასტრებში. მათ უნდა შეისწავლონ ლიტერატურა და მეცნიერება და ეკლესიის მორალურ ალორძინებისათვის უნდა იზრუნონ.

4) თანდათან გაუქმებულ იქმნან საეკლესიო წესები, რომელნიც უცხო ელემენტებმა შეიტანეს სომხის მღვდელთ-მსახურებაში.

5) ეროვნული საეკლესიო სკოლები სემინარიები და ეჩმიაძინის აკადემია. უნდა ინახებოდენ მრევლის ხარჯით. ეს სასწავლებლები არ უნდა იქმნან არეულნი გაეროვნებულ მთავრობის სკოლებთან.

როგორი განახლება უნდა მოხდეს ჩვენს ეკლესიაში.

ქართველ ერსა და სამღვდელოებას ღრმადა სწამს, რომ ვერაგული ძალადობით შეჩერებული მშობლიური ეკლესიის მაჯის ცემა, ახლო მომავალში, საბოლოოთ დაუბრუნდება თავის ნორმალურ მიმდინარეობას და ჩვენი ეკლესიის ორგანიზმში მძლავრი შადრევანივით დატრიალდება ქართული სისხლი, ქართული სული.

უეჭველია ისიც, რომ მშობლიური ეკლესიის ყოფა ცხოვრება ველარ დაეტევა იმ ჩარჩოებში, რომელშიაც იგი ჩააყენა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ერთხელვე შემუშავებულმა და დადასტურებულმა მსვლელობამ. როცა საუკეთესო ქრისტიანულ აღსარებებს მიზნათ აქვსთ დასახული შეუჩერებელი განვითარება, შეუჩერებელი ლტოლვილება ღვთისადმი, შეუჩერებელი ძებნა ღვთისა. მართლმადიდებელმა ეკკლესიამ ერთხელვე შემუშავებულ წერტილზე გაყინა სარწმუნოება და ძნელათ გამოსაძრომ ჩარჩოებში ჩასვა იგი.

არავისთვის დაფარული არ არის, რომ დღევანდელი რევოლუციის ქარცეცხლი ძველს და უვარგისს ანგრევს და მის ნანგრევებზე ლამობს ახალი და საუკეთესო ააშენოს. თუ ამგვარი ნგრევა-შენება ეხება მოქალაქეთა ცხოვრების ყოველ მხარეს, ეხება იგი კერძოთ სარწმუნოებრივ მხარესაც. სარწმუნოებრივ მხარეში ნგრევა-შენებას ხელს უწყობს დღევანდელი რევოლუციის მიერ მინიჭებული დიადი განძი, ეგრეთ წოდებული სინიდისის თავისუფლება, რომელიც უეჭველია დაუფასებელ სამსახურს გაუწევს ხალხს ღვთისადმი თავისუფალ და დამოუკიდებელ ლტოლვილების საქმეში.

მაგრამ აქ იბადება ერთი მძიმე უხერხულობა. არა გვქონდა დღემდი სინიდისის თავისუფლება, მაგრამ ადამიანთა სინიდისი, თუმცა გამოუცხადებიათ, მაგრამ მალულათ მიიკაფავდა თავის გზას, იგუბებოდა ადამიანთა შინაგან არსებაში, რომ მოხერხებულ დროს მძლავრათ გამოეხეთქა გარეთ. ამ გარეთ გამოუსვლელმა თავისუფალმა სინიდისმა სარწმუნოებრივ განვითარების ერთგვარ წერტილამდი მიიყვანა განსწავლული საზოგადოების უმრავლესობა, ხოლო მანვე სულ სხვა წერტილზე შეაჩერა ფართო მასსა და ამნაირათ სწავლულთა და უსწავლელთა შორის გაჩნდა ღრმა უფსკრული.

იბადება საკითხი: როგორ უნდა მოეწყოს ჩვენი სარწმუნოების განახლება? უნდა შეიცვალოს იგი ისე, რამდენადაც ამისთვის მომზადებულია საზოგადოების განსწავლული ნაწილის უმრავლესობა, თუ ისე რამდენადაც ამისთვის მომზადებულია ფართო მასსა?

ხალხი არაა დამნაშავე მასში, რომ მას არაფერი ასწავლეს. მთელი ამისი ბრალი ედება იმ დახავსებულ და უვარგის წესწყობილებას, რომელიც მაჯლაჯუნასავით მძიმე უღლათ აწვა კისერზე სწავლა-განათლების მოტრფიალე ხალხს მრავალი საუკუნოების განმავლობაში. ამიტომ სარწმუნოებრივ საქმეში ჩვენი სინიდისის თავისუფლებამ ანგარიში უნდა გაუწიოს ფართო მასსის სინიდისის თავისუფლებას და ამ ჟამად იმდენათ უნდა გადავდგათ წინ ნაბიჯი, რამდენათაც ამისთვის მომზადებულია ხალხის უმრავლესობის სინიდისი, და ხალხმა სასოწარკვეთილებით არ მოგვაძახოს: „სად მიხვალთ? დამიცადეთ, მომხედეთ ბრმასა და გაჭირვებულსო!“.

რაა მოსაწონი, რომ პროფესორმა, რომელსაც ჩვენ დავავალებთ ნორჩ ბავშვებს ანბანი ასწავლოს, უნივერსიტეტის მეოთხე კურსის საგნებზე დაუწყოს ბავშვებს სჯა-ბაასი იმ მოსაზრებით, რომ ბავშვები ერთი წლის განმავლობაში ფილოსოფოსები გახდებიან. ამისთანა მოქმედება მიზანს ვერ მიაღწევს და მხოლოდ არევ-დარევას გამოიწვევს ნორჩი ბავშვების აზროვნებაში. ან რომელ გონიერ დედას არ ენატრება რომ მისი ძუძუმწოვარა ბავშვი მალე წამოიზარდოს, ძუძუს წოვას თავი მიანებოს, მაგარი საჭმელების მიღებას შეეჩვიოს და შემდეგ კიდეც დავაჟკაცდეს. მაგრამ განა გონიერი იქნება ის დედა, რომელიც ორი თვის ბავშს მაგარ საჭმელებს შეუჩრის პირში იმ მოსაზრებით, რომ ბავშმა მალე განვლოს ძუძუს წოვის ხანა და მალე წამოიზარდოს? ამ გვარი დედა ხომ პირდაპირ დაახრჩობს საცოდავ ნორჩ არსებას?! მაგრამ მეორეს მხრით, არც ის დედა იქნება გონიერი, რომელიც ძუძუზე არ მოიშორებს იმ ბავშს, რომელმაც უკვე განვლო ძუძუმწოვრობის ხანა და რომლის ორგანიზმის მომაგრებისა და განვითარებისათვის დაუყონებლივ მაგარ საჭმელებზე გადასვლაა საჭირო. ამ გვარი დედა დააუძლურებს და დაასნეულებს თავის ბავშს. გონიერი დედები ასე არ იქცევიან, იგინი ძიძწარეს, ან ნალველს იცხებენ ძუძუებზე, რომ ბავშმა შეიძულოს ძუძუ და ადვილათ მოსცილდეს მას. აი ამისთანა გონიერ დედებს უნდა მივბაძოთ ჩვენ; რისთვისაც ხალხი ჯერ მზათ არ არის, ამის შემოღებას მოვერიდოთ, ხოლო რაც მომწიფებულია, ამის შემოღებას ნუ დავაყოვნებთ, ცოტა ოდენი ძიძწარე და ნაღველიც ვიხმაროთ იქ, სადაც ხალხი ძველსა და უვარგისს ვერ სცილდება და ადვილათ მოსაცილებელი კი არის. მაშ ასე, სანამ ხალხი ძუძუმწოვარაა, განუვითარებელია, სისტემატიური თანდათანობით გადავდგათ წინ ნაბიჯი ხალხთან საზიარო სარწმუნოებრივ საქმეში, რომ სარგებლობის მაგიერ ზიანი არ მივაყენოთ საქმეს.

ეს ასე უნდა სჯობდეს ჩემის ღრმა რწმენით, მაგრამ გვეხერხება კი დღეს ეს ზომიერი და სისტემატიური მუშაობა? დღეს ჩვენ განვიცდით რევოლუციის ქარცეცხლს. რევოლუციურ ხანაშივე მოგვიხდება, როგორც ვიცით, ქართული საეკლესიო დამფუძნებელი კრების მოწვევა. რევოლუციას კი დინჯი, მოფიქრებული, აწონდაწონილი და წინდახედული მოქმედება ნაკლებათ ეხერხება; იგი შეუბრალებლად ანგრევს ყოველივე უვარგისს და რამდენათ მომწიფებულია ამ უვარგისის დანგრევის საკითხი, ამის აწონდაწონას არ დაგიდევს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ჩვენ დამფუძნებელ საეკლესიო კრებაზე ადგილი ექმნეს მისთანა უადგილო გამოსვლებს, როგორი გამოსვლიც ჩვენ მოწმენი შევიქენით ამ თვის შუა რიცხვებში საპარქიო კრებაზე კოტე ფოცხვერაშვილის სიტყვის მოსმენით, რამაც ფრიად ააღელვა დამსწრეთა უმრავლესობა. თუ ამისთან გამოსვლებს ადგილი ექნა მომავალ საეკკლესიო დამფუძნებელ კრებაზე, ეს კრება მიიღებს მიტინგურ ხასიათს და მოკლებულ იქნება ნაყოფიერებას და შემოქმედებას.

ყოველივე ამის მიხედვით საჭიროთ მიმაჩნია შემდეგი: გაინაწილონ უმაღლესი სწავლით აღჭურვილმა ქართველმა ღვთის მეტყველებმა თავიანთ შორის დეტალურათ დასამუშავებლათ ყველა ის საკითხები, რომლებიც უნდა წამოყენებულ იქმნან მომავალ საეკლესიო დამფუძნებელ კრებაზე. თუ ეს საეკკლესიო კრება ისე ადრე არ მოხდეს, როგორც განზრახულია მოეწყოს ქალაქებში. დაბებში და სოფლებში მათი ნაშრომის ავტორთაგან წაკითხვა ლექციების სახით. თუ საამისო დრო აღარ დაგვრჩენია, ის მაინც მოეწყოს, რომ დამფუძნებელი კრების რამოდენიმე დღით წინ ამ კრების მონაწილეებს მაინც წაუკითხან ლექციები ყველა გასარჩევ საკითხებზე. დაევალოს კითხვების დამმუშავებელთ შეიმუშაონ საკითხები იმ სახით, რამდენადაც იგინი ადვილად მისაღები და შესათვისებელი იქნებიან ფართო საზოგადოებისათვის. ამნაირად კრების მონაწილენი ლექციების მოსმენის შემდეგ უფრო გარკვეულის აზრით და გეგმით წარსდგებიან კრების წინაშე, რაიც ხელს შეუწყობს კრების ნაყოფიერს და შემოქმედებითს მუშაობას. მაშ ვიაროთ ფრთხილი, დინჯი და აწონილდაწონილი ნაბიჯით სარწმუნოებრივ საქმეში, რამდენადაც ეს შესაძლებელია ამ რევოლუციურ ხანაში.

მღვდელი იასონ აბესაძე.

უცხოეთი

საფრანგეთის ნოსნობის მდგომარეობა.

საფრანგეთის სავაჭრო გემების შესყიდვის კომისიაში გამოირკვა, რომ ზღვით გამოსვლა ბოლო დროს ძალიან შეფერხდა. ომამდე მაგალითად 18 მილიონ ტონნის საქონელი შემოჰქონდათ, ხოლო 1916 წელში ეს რიცხვი 1 მილიონამდე დასულა. ზემოხსენებულ კომისიის წევრს დე-მონზის განუცხადებია: ყველაფერი დროზეა დამოკიდებული. საფრანგეთის გამარჯვება და დამარცხება დამოკიდებულია იმაზე—შესძლებს სურსათის შემოტანას, თუ არა. საფრანგეთის სიცოცხლე ზღვაზეა დამოკიდებული.

ამერიკა და სტოკჰოლმის კონფერენცია.

ამერიკის მუშათა ფედერაციამ დაადგინა გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები სტოკჰოლმის საერთაშორისო კონფერენციაზე.

სოციალ-დემოკრატები სამინისტროში.

ვენიდან იტყობინებიან, რომ იმპერ. კარლოსმა მიიღო რაიხსრატის წევრი პერნერსტორფერი სოც.-დემოკრ., რომელსაც სამინისტროს წევრად იწვევენ. ავსტრიის სოც.-დემოკ. პარტია იხილავს საკითხს, შეუძლიათ თუ არა მის წევრს სამინისტროში შესვლა.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. ქვირქელია.

ექიმები:

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში მესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სხა. ტელეფონი 135 №.

ექიმი ვალერიანე მ. [illegible] იღებს შინაგანი, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, [illegible] სახლი

[illegible] ლამ ბ[illegible] [illegible] განახლდა მიღება ავათმყოფების დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე. მისამართი: [illegible]

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ დ. შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

რკინისგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	7 ს. 47 წ.
„	— საღამ. -	8 ს. 49 „
ბათომიდან	— დღისით —	12 ს. 55 „
„	— ღამის —	11 ს. 42 „
ფოთიდან	— დილის —	8 ს. 17 „
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს. „
	დილის —	9 ს. 10 „
ხაშურიდან	— დილის —	9 ს. 24 „
ბათუმიდან	დილის	10 ს. 20 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	8 ს. 25 „
„	ღამის —	10 ს. 20 „
ბათომისაკენ	- საღამოს	7 ს. 1 „
„	— დილის	6 ს. 20 „
ფოთისაკენ	— დღისით —	3 ს. 18 წ.
ტყიბულისაკენ	— დილის —	7 ს. 57 „
	— დღით —	2 ს. 37 „
ხაშურისაკენ	— დღით —	4 ს. 40 „
ბათუმისაკენ	დღით	1 ს. 40 წ.

ჩვენი ქვეყნის რედაქციას

ქართულ მწერლობის ერთმა მოტრფიალემ

გადმოსცა 200 მან. ✕ საუკეთესო პრემიათ თხზულებისათვის ✕ გადმოსცა 200 მან.

განურჩევლათ დარგისა), რომელიც მოთავსებული იქნება ამავე გაზეთის ფურცლებზე 15 ივლისიდან 1 დეკემბრამდე.

წერილი უნდა იყოს არანაკლები 1-სა და არა უმეტეს 3 ფელეტონისა ე. ი 400—1200 სტრიქონისა.

ჟიურის შემადგენლობა თავის დროზე გამოქვეყნდება.

ვსთხოვთ ყველა ხელის მომწერს

ვისაც ჩვენი გაზეთი წესიერათ და თავის დროზე არ მისდის საჩქაროდ გვაცნობონ ეს, საჭირო ზომების მისაღებად. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა.

მამულიშვილნო

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს, შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში.

ეროვნულ-დემოკრატიული

პარტიაში ჩაწერა

შეიძლება

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში

თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიათ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში